ბრძანება:**ბ76. 76260169**
თარიღი:**16/01/2026**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე განცხადებების მიღების თაობაზე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. მრჩეველთა საბჭოს მიზანია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობით, ეფექტური მმართველობის განხორციელება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 86[I]-ე მულის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”-ს 52-ე, 54-ე მუხლების, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 თებერვლის N259 ბრძანებით დამტკიცებული ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს- ,,სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების" საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026 წლის 20 იანვრიდან დაიწყოს განცხადებების მიღება **ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე .**

2.საბჭოს წევრობის კანდიდატს უფლება აქვს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს საბჭოს წევრად რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მიმართოს ბრძანების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. (განხადებას თან უნდა დაურთოს პირადობის მოწმობა და სამოტივაციო წერილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე)

3.საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მოქალაქის შემადგენლობით;

ბ) მოქმედ მეწარმე იურიდიულ პირს, გარდა იმ მეწარმე იურიდიული პირისა, რომლის პარტნიორს/აქციონერს/დამფუძნებელს წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი;

გ) მოქმედ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, გარდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირსა, რომლის წევრსაც წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი საბჭოს დაკომპლექტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს წევრად რეგისტრაციის შესახებ განცხადებათა მიღების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალურად საჯარო განცხადებებისთვის განკუთვნილ ადგილას, ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდსა და ფეისბუკ გვერდზე.

6. საბჭოს წევრად რეგისტრაციის შესახებ განცხადებათა მიღება 2026 წლის 20 იანვრიდან 20 თებერვლამდე განხორციელდეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების განყოფილებაში, მერიის ელექტრონული ფოსტით info.ambrolauri@gmail.com, განცხადებების მიღება და შეგროვება ,,სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების" შესაბამისად უზრუნველყოს ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციის შემსრულებელმა ირმა ფრუიძემ 558 65 40 77.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (კოსტავას ქუჩა N13).

8.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე

ზაზა ქევანიშვილი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი